ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №62

19.08.2025 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევანი აბაშიძე, ანა კილაძე, ვიტალი ონიანი, ლევან ჯაფარიძე, ნინო რუხაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **ზურაბ აბაშიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. **ოთარ გრიგოლია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **გივი ჩხარტიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **კონსტანტინე ზარნაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ლევან არველაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **საბა ბუაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **ავთანდილ ცინცაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. **მიხეილ კაკაურიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. **ლილე ლიპარტელიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

10. **ნინო ბაგაშვილი** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე, ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ **(ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 31 ივლისის №12-03252122-03 წერილი)**

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ **(ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 7 აგვისტოს №12-032521932-03 წერილი)**

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ **(ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 14 აგვისტოს №12-032522640-03 წერილი)**

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ **(ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 14 აგვისტოს №12-032522641-03 წერილი)**

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსი/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ **(ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 15 აგვისტოს №12-032522766-03 წერილი)**

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსი/

6. **მიმდინარე საკითხი.**

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ **(ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 31 ივლისის №12-03252122-03 წერილი)**

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №25.1292.1468 განკარგულებით, ასევე, დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი

ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - №01251833386-67; №012518714-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი საკითხი) - **№01251833386-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგოლაშვილის ქუჩა №80-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.23.056.011; №01.19.23.056.009; №01.19.23.056.012; №01.19.23.056.013; №01.19.23.056.007; №01.19.23.056.006; №01.19.23.056.005; №01.19.23.056.008) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1), სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ითა (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს, შემდგომში, საპროექტო ტერიტორიის სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ფუნქციის მქონე ობიექტებით სამშენებლოდ განვითარება, რომლებშიც არ იქნება ისეთი საწარმოო პროცესები წარმართული, რომელიც დააზიანებს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ უკვე ვრცელდება მოთხოვნილი სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და ასევე, ტერიტორიაზე ფიქსირდება ფუნქციის შესაბამისი ობიექტები. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა და გეგმარებითი ხასიათის გათვალისწინება.

ამასთან, ტერიტორია მდებარეობს ქალაქის პერიფერიულ ზონაში, უზრუნველყოფილია სატრანსპორტო ქსელით და საინჟინრო კომუნიკაციებით. ამასთან, ფუნქციური ზონის ცვლილებისას მოთხოვნილია ცალკე გამოყოფილ №01.19.23.056.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება, რომელიც გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიისთვის შიდა გადაადგილების უზრუნველსაყოფად.

სამშენებლოდ განვითარების შემთხვევაში დაცული იქნება ტერიტორიაზე არსებული აეროდრომის რაიონის შეზღუდვა (საპროექტო არეალში განთავსდება ისეთი შენობა-ნაგებობები, რომელთა სიმაღლე არ აღემატება მიწის დონიდან 15 მეტრს), არეალის ჩრდილოეთით გამავალი გაზსადენის შეზღუდვა და ყველა მოქმედი საკანონმდებლო პირობები.

ზემოაღნიშნული ცვლილების ფარგლებში ასევე, მოთხოვნილია საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება, რომელიც ითვალისწინებს სერვიტუტის უფლებით დატვირთულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.19.23.056.008; ფართობი: 4639 კვ.მ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელებას და მის მიღმა არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მოხსნას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების

სააგენტო, 2025 წლის 22 ივლისის №01252032429 წერილით, არ არის წინააღმდეგი განცხადებაში წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების წინადადების "SHP"-ფაილის შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.23.056.008) რეგისტრირებული სერვიტუტის გათვალისწინებით, განხორციელდეს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) კორექტირება.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 23 ივლისის №0125204215 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად, ინტერაქტიულ რუკაზე წარმოქმნილი ტექნიკური ხარვეზების გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება აღნიშნული ხარვეზების გასწორება. კერძოდ, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით არსებული რეგისტრაციის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.086) და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საპროექტო ზონირებით-სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგოლაშვილის ქუჩა №80-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.23.056.011; №01.19.23.056.009; №01.19.23.056.012; №01.19.23.056.013; №01.19.23.056.007; №01.19.23.056.006; №01.19.23.056.005; №01.19.23.056.008), ასევე, №01.19.24.007.086 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1), სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ითა (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 საკითხი) - **№012518714-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა, №85-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.114.012) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-2) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს კერძო საკუთრებაზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.114.012) გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მოხსნა შემდგომში ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, 2025 წლის 17 ივნისის №01251543516-16 განცხადების საფუძველზე, შეთანხმებულია

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა (№16-01251691082 წერილით), რომლიც უზრუნველყოფს ტერიტორიაზე უსაფრთხო გადაადგილებას. აღნიშნული სქემის მიხედვით საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე გათვალისწინებულია სერვიტუტი (ტროტუარის ნაწილში).

ვინაიდან, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) წარმოადგენს სატრანსპორტო ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, **ტროტუარებს**, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს) საპროექტო ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით გათვალისწინებულ სერვიტუტის გავრცელების ნაწილში სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დარჩეს უცვლელად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2025 წლის №01252093221 წერილით, არ არის წინააღმდეგი სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გაუქმდეს საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის (№16-01251691082; 26/06/2025) შესაბამისად, მხოლოდ იმ მონაკვეთზე, რაც არ არის განსაზღვრული გზის მოსაწყობად, ხოლო, საკადასტრო საზღვრებში არსებული გზის ნაწილზე, რომელიც უნდა დაიტვირთოს საჯარო სერვიტუტით, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დარჩეს უცვლელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა, №85-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.114.012) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი და შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 31 ივლისის **№12-03252122-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01251833386-67; №012518714-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 31 ივლისის **№12-03252122-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01251833386-67; №012518714-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ **(ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 7 აგვისტოს №12-032521932-03 წერილი)**

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 6 აგვისტოს №25.1332.1513 განკარგულებით, ასევე, დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და

სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - №01252092336-67; №01251761698-67; №01252042219-67; №01251853717-67; №01251993470-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი საკითხი) - **№01252092336-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელ გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.416) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატყეო ზონით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2025 წლის 1-ელი აგვისტოს №0252131753 წერილით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, №01.10.11.001.416 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შუაში მოქცეულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.417) ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.417) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატყეო ზონით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა 2-ის მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით (მაგისტრალს შორის), მისი სამშენებლო განვითარება ქალაქგეგმარებითად არასწორი გადაწყვეტილებაა. შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) შეუსაბამოა იმ გარემო განაშენიანებასთან, რომელშიც არსებობს რეგისტრაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.416; №01.10.11.001.417) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატყეო ზონით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 საკითხი) - **№01251761698-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, სოხუმის ქუჩა №22-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.104.068) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და

გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა 2-ის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მცირე ზომის კლინიკის (სამედიცინო დაწესებულება) მშენებლობა.

სპეციალური ზონა (სპეცზ) მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ სპეციალური გამოყენების ტერიტორიებს (მაგ.: სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი; კულტურული; სამედიცინო; სასაფლაო; სამხედრო დანიშნულების ტერიტორიები; სახელმწიფო ან მუნიციპალური დაწესებულებების განთავსება). მოთხოვნილი სპეციალური ზონა 1 (სპეცზ–1) წარმოადგენს სპეციალურ ქვეზონას, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამედიცინო, სპორტული, სამეცნიერო დანიშნულების, ასევე, საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 5 აგვისტოს №01252173219 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, №01.20.01.104.068 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.20.01.104.068 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, სოხუმის ქუჩა №22-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.104.068) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 საკითხი) - **№01252042219-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ლისში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.16.21.934) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა.

აღნიშნული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.21.934) ფუნქციონირებს საგანმანათლებლო დაწესებულება - სკოლა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზნობრიობას წარმოადგენს სკოლის განვითარება - გაფართოვება და საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 29 ივლისის №01252103494 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა (რზ).

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2025 წლის 29 ივლისის №61-01252103448 წერილის მიხედვით, დღეის მდგომარეობით, მიწის ნაკვეთების (№72.16.21.649; №72.16.21.793; №72.16.21.894) გაერთიანების შედეგად, პრივატიზებული ქონება მოქცეულია №72.16.21.934 საკადასტრო ერთეულის ფარგლებში.

ფუნქციური ზონის ცვლილება მოთხოვნილია რეგისტრაციის იმ ნაწილზე, რომელიც სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ განკარგულია შემდგომში სკვერის მოწყობის ვალდებულებით (2917.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ს/კ: №72.16.21.793).

სსიპ ქონების მართვის სააგენტო 2025 წლის 29 ივლისის №61-01252103448 წერილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 ივლისის №25.1252.1428 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივლისის №361 განკარგულებებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-372-22-21460 ხელშეკრულებით განკარგულ უძრავ ქონებაზე (ქ. თბილისში, ლისზე მდებარე 2917.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ს/კ: №72.16.21.793), ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის („სკვერის მოწყობა“) გაუქმების თაობაზე, იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე სააგენტოსა და მესაკუთრეს შორის შესაბამისი შეთანხმების გაფორმებისა და აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებული ფუნქციური ზონის სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) შეცვლიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში მესაკუთრე სრულად გადაიხდის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 11 ივლისის №004505125 დასკვნით დადგენილ ფასთა შორის სხვაობას - 1 980 643 (ერთი მილიონ ცხრაას ოთხმოცი ათას ექვსას ორმოცდასამი) ლარის ოდენობით. აღნიშნული განკარგულებების საფუძელზე, მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმება გაფორმდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ვადებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს ქ. თბილისში, ლისზე მდებარე 2917.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №72.16.21.793) არსებული ფუნქციური ზონის სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) შეცვლა, იმ პირობით, რომ მესაკუთრე შესაბამის ვადაში უზრუნველყოფს ბიუროს 2025 წლის 11 ივლისის №004505125 დასკვნით დადგენილი ფასთა შორის სხვაობის (1 980 643 ლარი) გადახდას.

ზემოაღნიშულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.16.21.934) ნაწილზე სარეკრეაციო ზონის (რზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა, ***2025 წლის 11 ივლისის №004505125 დასკვნით დადგენილი ფასთა შორის სხვაობის (1 980 643 ლარი) გადახდის პირობით მისაღებია.***

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 საკითხი) - **№01251853717-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩის №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №01.10.13.040.112) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია. კერძოდ, პანდუსის გაბარიტების გაფართოება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2025 წლის 30 ივლისის №01252112357 წერილით სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.040.112) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) მოხსნის საკითხს შემდგომში რეკონსტრუქციის, კერძოდ პანდუსის გაბარიტების გაფართოების მიზნით, მიეცა დადებითი შეფასება (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 4 აგვისტოს №60-01252162262 წერილი; 2025 წლის 29 ივლისი ოქმი №29).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩის №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №01.10.13.040.112) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) მოხსნა, მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 საკითხი) - **№01251993470-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ცხინვალის ქუჩა, №39-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.12.004.015) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო 2025 წლის 6 აგვისტოს №0125218453 წერილით აღნიშნული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.12.004.015) საკადასტრო საზღვრებში ფუნქციური ზონის ცვლილებას, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ფენის გაუქმებას მიზანშეწონილად მიიჩნევს

ნაწილობრივ. კერძოდ, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ფენა გაუქმდეს საპროექტო მიწის ნაკვეთის მხოლოდ ძირითად ნაწილზე და შენარჩუნდეს უკიდურეს სამხრეთ ნაწილში რეგისტრაციის მიჯნამდე. ამასთან, დაკორექტირდეს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) №01.10.12.004.016 საკადასტრო ერთეულზეც სერვიტუტის მიჯნამდე.

საპროექტო ტერიტორიისა და მის აღმოსავლეთით არსებულ ს/კ: №01.10.12.004.016 მიწის ნაკვეთის სამხრეთ ნაწილში არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ქმნის ალტერნატიულ საგზაო კავშირს №01.10.12.004.016 საკადასტრო ერთეულზე გავრცელებულ სერვიტუტსა და მერი დავითაშვილის ქუჩასთან. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის უკიდურეს სამხრეთ მიჯნაზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შენარჩუნება აუცილებელია სამომავლოდ, ჯეროვანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.10.12.004.016; №01.10.12.004.034 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-1) ცვლილება/კორექტირება იმგვარად, რომ შენარჩუნდეს მნიშვნელოვანი კავშირი მერი დავითაშვილის ქუჩასა და ცხინვალის ქუჩას შორის სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შენარჩუნებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ცხინვალის ქუჩა, №39-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.12.004.015) ნაწილზე, ასევე, №01.10.12.004.016; №01.10.12.004.034 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

